# ხაშურის მოამბე

№30 (451) 12 აგვისტო, ორშაბათი, 2024 წელი


- გენდერული თანასწორობის კვირეული -

## ქალის როლი სამშვიდობო მისიაში

6 აგვისტოს, ხაშურის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის კვირეულის მორიგი დღე ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის

წარმომადგენლებთან შეხვედრას დაეთმო.

პერეზენტაციაში - „ქალის როლი სამშვიდობო მისიაში“ შიდა ქართლის რეგიონული ოფისის წარმომადგენლებმა საინტერესოდ ისაუბრეს კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობის გამოწვევებისა და სტერეოტიპების შესახებ, განიხილეს ქალებისა და მამაკაცების როლი სამშვიდობო პროცესებში.

შეხვედრას ესწრებოდნენ სამოქალაქო განათლების პედაგოგები, ე.წ. გამყოფი ხაზის პირა სოფლის მცხოვრები ქალები, მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს, ა(ა)იპ-ებისა და ახალგაზრდული ორგანიზაციის წარმომადგენლები.

## საინტერესო ლექცია ძალადობის მსხვერპლთა დაცვის შესახებ

ხაშურის საკრებულოს სხდომათა დარბაზში თემაზე - „ოჯახში ძალადობა, ძალადობის მსხვერპლთა დაცვა და დახმარება” ლექცია ჩაატარა მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ, სამართლის მაგისტრმა , ზვიად გოგუაძემ.

ზაფხულის ლექციათა ციკლი მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, ნინო ლიპარტელიანისა და მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის, ზვიად გოგუაძის ინიციატივით, განათლების კულტურისა და სპორტის სამსახურის ასევე, ა(ა)იპ ახალგაზრდები ხაშურის განვითარებისთვის ჩართულობით დაიწყო.

მონაწილეს, რომელიც ზაფხულის ლექციების არანაკლებ 80%-ს დაესწრება, გადაეცემა შესაბამისი სერტიფიკატი.

ლექციების მსმენელად დასწრება თავისუფალია.

## ახალი სასწავლო წლისთვის მზადება აქტიურ ფაზაშია

ზაფხულის პერიოდში ინტენიურად მიმდინარეობს სკოლების მომარაგება სასწავლო რესურსებით, უკვე ორგანიზებულად მოხდა მომავალი პირველი კლასელებისთვის განკუთვნილი კომპიუტერების შემოტანა, დასაწყობება და სკოლებზე მიწოდება, 2024-2025 სასწავლო წლის დაწყებისთანავე

საჯარო სკოლების პირველი კლასის ყველა მოსწავლე მიიღებს საჩუქრად პერსონალურ კომპიუტერს, რომლის გარეშე სასწავლო პროცესი ვერ იქნება წარმატებული და ნაყოფიერი, გათვლილი სწავლა-სწავლების მთავარ პრიორიტეტებზე. შემოტანილია 527460 ლარის ღირებულების კომპიუტერები პირველი კლასის მოსწავლეებისათვის.

სკოლებზე ორგანიზებულად დარიგდა სახელმძღვანელოების დიდი ნაწილი, რომლებიც უფასოდ გადაეცემათ მოსწავლეებს სასაწავლო პროცესის დაწყებისთანავე, უფასო სახელმძღვანელოების პროექტი დიდი ფინანსური შეღავათია ოჯახებისთვის, ვისაც სასკოლო ასაკის მოსწავლეები ჰყავთ ოჯახში, სკოლებზე გადაცემულია 108361ლარის ღირებულების წიგნები, კიდევ ველით შემდეგ ნაკადს სექტემბრის 10 რიცხვისთვის. ამ მეტად მნიშვნელოვანი საქმის ორგანიზებულად და მოწესრიგებულად გატარებაში რესურსცენტრს მუდამ მხარში უდგას სკოლების ადმინისტრაციები, მათგან კიდევ უფრო გამორჩეულად ხაშურის N1 საჯარო სკოლის დირექტორი მორის დანდურიშვილი, ხაშურის N3 საჯარო სკოლის დირექტორი თამარ გაგლოშვილი, სასწავლო რესურსის შემოტანის შემდეგ, დასაწყობებისთვის აქტიურად ვიყენებთ მათი ქვემდებარე სკოლების ინფრასტრუქტურას და ასევე ხელმძღვანელები თანამშრომლებთან ერთად გვეხმარებიან რესურსების განაწილებისა და დარიგების პროცესებში,წიგნების განაწილეების პროცესში დიდი დახმარება გაგვიწია ასევე სურამის N1 სკოლის დირექტორმა ჟანა ტაბატაძემ, რომელიც მუდამ მზადყოფნაშია აკეთოს საზოგადოებისთვის სასრგებლო საქმე. მადლობა მათ ამ დამატებითი პასუხისმგებლობებისათვის.

**მანანა აბაზაძე,**
**ხაშურის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსის**
**მოვალეობის შემსრულებელი**

_თაობათა დაპირისპირება -

# გამსხვავებული აზრი არ ნიშნავს აუცილებლად მიუღებლობას

იმ დღეს, 1991 წლის 22 დეკემბერს, როდესაც რუსუდანი თავის გადასარჩენად გარბოდა და თავშესაფარს ეძებდა, ელენე სახლიდან ადევნებდა თვალს მოვლენებს. თანატოლები, ერთი ეპოქის შვილები, ერთი და იგივე მოვლენის შემყურენი, მაგრამ მაინც ისტორიის სხვადასხვა მხარეს.

ახალი არაა ჩვენთვის ის ცნება, რომ თაობათა შორის არის მუდმივად იდეალოგიური დაპირისპირება, მაგრამ აღმოჩნდა, რომ არც ერთი თაობის შვილები არიან ყოველთვის ერთ მხარეს. ამ თემაზე საუბრობენ ქალბატონი რუსუდან ლატარია და ელენე მაისურაძე.

რუსუდანი მრავალი საპროტესტო აქციის თანამონაწილეა, მრავალი გასროლილი ტყვიაც უნახავს და მრავალი მოკლულიც. თავადაც ბევრჯერ გადაურჩა სიკვდილს. ჰყვება 1991 წლის 22 დეკემბერზე, როდესაც ისიც სხვებთან ერთად გარბოდა და ეშინოდა, უკანასკნელი არ ყოფილიყო ეს დღე მისთვის. ეშინოდა, რომ ვერ მოესწრებოდა ნამდვილად დამოუკიდებელ და თავისუფალ ქვეყანას. რუსუდანი იმ დღეს გადარჩა, მოახერხა დამალვა, მაგრამ ეს ვერ შეძლო 113-მა ადამიანმა, რომლებიც „თბილისის ომს“ ემსხვერპლნენ. სწორედ მაშინ გადაწყვიტა, რომ ყოველთვის იბრძოლებდა საკუთარი რწმენისთვის და ქვეყნისთვის.

„მალე 70 წლის გავხდები, უკვე თითქმის 40 წელია, რაც ქუჩაში ვდგავარ და ვიბრძვი თავისუფლებისთვის. პირველად, რომ საპროტესტო აქციაზე დავდექი, 26 წლის ვიყავი, ასე მგონია მაშინ დავიწყე ცხოვრება და შევწყვიტე არსებობა. მაშინ გავიგე, რომ თურმე არც ღმერთი მცოდნია და არც თავისუფლება.“-რუსუდანისთის სწორედ ხალხის მხარეს დგომა აღმოჩნდა ხსნა. მრავალ დაბრკოლებასთან შეჭიდება მოუხდა, არაერთხელ დააკავეს განსხვავებული აზრის გამო, მაგრამ არასდროს შეუწყვეტია ბრძოლა. რაც უფრო ძლიერად ცდილობდნენ ქალბატონი რუსუდანის შეშინებას, მით უფრო დიდი იმედი ეძლეოდა და ხვდებოდა, რომ სწორ მხარეს იდგა. ახლაც იქ დგას, ახლაც აგრძელებს დაუღალავად ბრძოლას.

„3-ჯერ დამაკავეს, ერთხელ თბილისში, ორჯერ სოფელში. მაშინ მილიციაში მივყავდით, გვემუქრებოდნენ, მაგრამ არ ჭრიდა მათი მუქარა. ერთხელ, აღდგომის წინა ღამეს, ეკლესიაში მისვლის გამო, დამაკავეს. თურმე ჩუმად ფოტო გადაუღიათ და დასაკითხად დამიბარეს. რწმენა მაშინ ღალატს ნიშნავდა მათთვის.“ -წლების განმავლობაში რუსუდანი აპროტესტებდა და

მოითხოვდა მუდამ ერთს, დამოუკიდებლობას, თავისუფლებას. ამბობს, რომ მისთვის ამაზე ძვირფასი არაფერია. ამიტომაა, რომ არ შეუწყვეტია არასდროს ამისთვის ბრძოლა. აკეთებს ყველაფერს, რისი საშუალებაც აქვს, რომ დაეხმაროს ქვეყანას. მრავალ ხელისუფლებას მოსწრებია, კარგიც უნახავს და ცუდიც, მხარიც დაუჭერია ზოგისთვის, მაგრამ თვალი არასდროს დაუხუჭავს მათ უარყოფითზე და მათ შეცდომებზე, რადგან მთავარია, ქართველი ხალხი და საქართველოა.

ქალბატონი ელენეც იზიარებს იმ აზრს, რომ მართლაც სანუკვარია ჩვენი ქვეყანა და ხალხი, მაგრამ ეს იმის უფლებას არ გვაძლევს, დავარღვიოთ წესრიგი. ისიც იხსენებს 1991 წლის 22 დეკემბერს და წუხს დაღუპულების გამო. ამბობს, რომ დაპირისპირების გამო დაიღვარა სისხლი და რომ არა ეს ხმაურიანი დაპირისპირება, შესაძლებელი იქნებოდა სხვა, უფრო უსაფრთხო გზებითაც გადაეჭრათ პრობლემა. სწორეთ ეს არის ქალბატონი ელენეს არგუმენტი.

”კი, უნდა თქვა რამე, თუ არ მოგწონს, მაგრამ ასეთი გამოსვლები და ხელისუფლებისადმი ასეთი პროტესტი? ეს უკვე ზედმეტია. შეიძლება რაღაც არ მოგწონდეს, მაგრამ არ უნდა დაგავიწყდეს, რომ ის ხელისუფლებაა, მმართველი ორგანოა.“- ელენეს აზრით, უკეთესია თუ უბრალოდ მივყვებით

მოვლენებს, პროტესტი, გამოსვლები და „ხმამაღალი სიტყვა’ არეულობას ქმნის ქვეყანაში და არც სარგებელი მოაქვს. მისი აზრით, საშიშია, რადგან არავინ იცის, როდის და როგორი სისწრაფით გარდაიქმნება სამშვიდობო გამოსვლა სისხლიან დაპირისპირებად.

„მეც ძალიან მიყვარს ჩვენი ქვეყანა, მაგრამ არ მგონია, რამე გვჭირდეს ახლა საიმისო, რომ გარეთ ვიდგეთ და ვაპროტესტებდეთ. ისეც ესმის ხელისუფლებას ჩვენი“-ამბობს ქალბატონი მარიკა.

როგორც აღმოჩნდა მხოლოდ ასაკობრივი სხვაობა არაა მიზეზი იდეალოგიური დაპირისპირებისა. არც მხოლოს 90-იანებს გამოუწვევია დაპირისპირება ერთი თაობის შვილებს შორის, ეს დღესაც ასეა. ამაზე კი თალიკო და გელა საუბრობენ. 19 წლის ახალგაზრდები, თანაკლასელები, ერთ სივრცეში აღზრდილნი, მაგრამ მაინც განსხვავებული პოზიციებით გამორჩეულნი.

თალიკო, 19 წლის სტუდენტი, რომელიც თითქმის ყოველდღიურად იდგა საპროტესტო აქციებზე, 2024 წლის მარტში.

„ვწუხვარ, რომ წინა წელს ვერ მოვახერხე ეს, მაგრამ, ვფიქრობ, გამოვასწორე ჩემი ეს დანაკლისი წელს. თითქმის არც ერთი აქცია არ გამომიტოვებია, როცა გამოვტოვე, ისიც უნივ ერსიტეტის გამო, სინდისი მქენჯნიდა.:- თალიკოსათვის განათლებაც არ აღმოჩნდა საკმარისი მიზეზი, რომ არ მდგარიყო „ქვეყნის სადარაჯოზე“, როგორც ამას თავად უწოდებს ის. მისთვის მთავარი ის კი არ იყო, სად იდგებოდა, ან რამდენ ადამიანს შორის, არამედ ის, თუ რისთვის იყო ის იქ. მას ბავშვობიდან ესმოდა და შემდგომ ასწავლიდნენ კიდეც, რომ თავისუფლებაზე უფრო ძვირფასი არაფერია. მისი თქმით სჯერა, რომ ამის მოპოვება ევროპულობითაა შესაძლებელი, ხელისუფლება კი ამას წინ აღუდგება.

გელა, 19 წლის სტუდენტი, თვლის, რომ მიმდინარე საპროტესტო გამოსვლები აბსურდულია. მასაც ძალიან უყვარს სამშობლო, მაგრამ არ თვლის, რომ ვინმე ან რამე ართმევს მათ ახლა თავისუფლებას.

„არ მგონია, რომ ახლა ეს პროტესტი გააზრებული ან ლოგიკურია. თითქოს, ერთმანეთს აყვნენ უბრალოდ, ისე, რომ არც იციან, რას აპროტესტებენ. ამ თაობამ აღმოაჩინა პროტესტი რა არის და უნდოდათ თვითონაც გაეპროტესტებინათ რამე, სულ ესაა“- ამბობს გელა. ის არ თვლის, რომ პროტესტი საჭიროა, ან, რომ იქ მდგომმა უკეთ იცის რა არის საჭირო ქვეყნისთვის.

„ეს მხოლოდ სხვის დასანახად კეთდება, რომ სხვებს აჩვენონ აი, როგორ მიყვარს მე ქვეყანა“-ამ წინადადებით ასრულებს ბაქარი საკუთარ მოსაზრებას და კიდევ ერთხელ ამბობს, რომ თავადაც პატრიოტად თვლის თავს, მაგრამ მსგავსი პროტესტი რადიკალური ფორმაა და დემოკრატიის მსურველ ქვეყანას არ შეეფერება.

კიდევ ერთხელ დავინახეთ, რომ არაა აუცილებელი იყო სხვადასხვა ასაკის, რომ არ ეთანხმებოდა სხვის აზრს. განსხვავებული აზრი არ ნიშნავს აუცილებლად მიუღებელს. მამათა და შვილთა დაპირისპირება რა თქმა უნდა ყოველთვ ის იქნება, მაგრამ მასთან ერთად იარსებებს თაობათა შიგნით დაპირისპირებაც.

**ნია ნიჟარაძე,**

**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის**

**მეორე კურსის სტუდენტი**

# 100 წელი - 1924 წლის აჯანყებიდან

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ხმ“ 2024წ.#19,20,21,22,23,24,25, 26,27,28,29)

ფართო ხასიათი მიიღო სამღვდელოების წარმომადგენლების დევნამ და შევიწროვებამ. აგვისტოს აჯანყებამ არაერთი სასულიერო პირი შეიწირა. მარტო გორის მაზრაში დახვრეტილი იქნა 29 მღვდელი. ხაშურის რაიონიდან დახვრიტეს იოსებ ბებიაშვილი, სერგი გელაშვილი, მიხა გოლაშვილი, ებრაელების რაბინი და სხვა...

იოსებ ბებიაშვილი, რომელსაც თბილისის სასულიერო სემინარია ჰქონდა დამთავრებული, საკმაოდ ცნობილი პიროვნება იყო. იგი იყო ერთ-ერთი ინიციატორი სურამში სკოლისა და ბიბლიოთეკის დაფუძნებისა. არაერთხელ მოიხსენიება მისი გვარი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მასალებში. მისი სახლი ღია იყო იაკობ გოგებაშვილისათვის, ივანე ჯავახიშვილისათვის, კორნელი კეკელიძისათვის, სოფრომ მგალობლიშვილისათვის და სხვა ცნობილი ქართველი სწავლულებისათვის და მწერლებისათვის, რომლებიც მის ოჯაში ისვენებდნენ. აქ შირად ნახავდით ნატო გაბუნია-ცაგარელისას, - გამოჩენილ ქართველ მსახიობ ქალს.

იოსებ ბებიაშვილი არა მარტო კულტურულ ცხოვრებაში, არამედ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოძრაობაშიც აქტიურად იყო ჩაბმული. დახმარებას უწევდა რევოლუციონერებს. მას თურმე ერთხელ სიკვდილისგან უხსნია სერგო ორჯონიკიძეც (ესეც ბედის ირონია უნდა იყოს. ორჯონიკიძე იხსნა სიკვდილისაგან და ახლა თვით ორჯონიკიძე უდგას სათავეში აგვისტოს რეპრესიებს, რომელმაც თვით იოსებ ბებიაშვილი შეიწირა). ,,დეკანოზმა თავის ანაფორა ჩააცვა ორჯონიკიძეს და თავის ქუდი დაახურა. ასე შენიღმული, ფეხით გადაიყვანა იგი კვართისაზე გადავლით ტეზერში ფეხით“ - აღნიშნავს თავის მოგონებებში იოსებ ბებიაშვილის ქალიშვილი თამარ ბებიაშვილი.

იოსებ ბებიაშვილმა, 1905-1907 წლების რევოლუციის დროს, არაერთხელ იხსნა სურამის ებრაელი მოსახლეობა კაზაკების დარბევისაგან.

თამარ ბებიაშვილი-გაიდამაჩუკისა იგონებს: ,,მამა იყო ძალიან განვითარებული კაცი, ყოველ თავისუფალ დროს წიგნების და გაზეთების კითხვას ანდომებდა. მამა თავისუფლად ფლობდა რუსულ, ქართულ და ბერძნულ ენებს. სურამში მცხოვრებ ბერძნებისათვის წირვას მათ ენაზე განაგებდა. მამას უყვარდა სწავლული საზოგადოება და ჩვენ ოჯახში ყოველთვის თავმოყრილნი იყვნენ ხოლმე სტუმრები ადგილობრივი, თუ ჩამოსულები და მათი საუბარი ყოველთვის იყო ქართველი ხალხის კეთილდღეობის, ქართული ლიტერატურის განვითარების ირგვლივ. სურამში და გორის მაზრაში თუ რამე სკოლები დაარსდა, მამაჩემის მეოხებით და ზრუნვით.

პირველი ბიბლიოთეკა სურამში დაარსდა იაკობ გოგებაშვილის მითითებით და ამ საქმეს მეთაურობდა მამა. ძალიან დიდი დახმარება გაუწია მამას წიგნების დაგროვებაში სურამის მკვიდრმა ალექსანდრე ხორავამ“. იოსებ ბებიაშვილი გორში დახვრიტეს.

მოგვიანებით მისი შვილიშვილი ოთარ გაიდამაჩუკი დედის, - თამარ ბებიაშვილის ნაამბობს გაიხსენებს: ,,...დაპატიმრების დღეს მღვდლის ოჯახში გამოცხადებულა ეტლით სამი შინსახკომელი, წაუყვანიათ მღვდელი და უკან აღარ დაუბრუნებიათ. მღვდლის ოჯახისთვის ჩამოურთმევიათ სახლ-კარი, ეზო-მამული და ოჯახი გარეთ გამოუყრიათ. ოჯახს გაუგია, რომ მღვდელი დაუხვრეტიათ... ფილიპე მახარაძე და იოსებ მღვდელი ძალიან კარგი ახლო მეგობრები ყოფილან სემინარიიდან... გაჭირვებაში ჩავარდნილი პელაგია (მეუღლე იოსებისა) წასულა თბილისში ფილიპე მახარაძის სანახავად. ფილიპესთან შესვლაზე პელაგიასთვის უარი უთქვამთ, მაგრამ პელაგიას მდივანი ქალისთვის დაჟინებით მოუთხოვია, რომ ფილიპესთვის მოეხსენებინა ვინც იყო. ფილიპეს გაეგო თუ არა, მაშინათვე გამოსულა კაბინეტიდან , გადახვევია პელაგიას და იოსები მოუკითხავს. პელაგიას გული შეწუხებია. როცა მოუბრუნებიათ, ფილიპე კვლავ შეკითხვია, რაშია საქმე, იოსები როგორ არისო. როგორ თუ როგორ არის, დახვრიტეთ და მაგას მე მეკითხებითო... ფილიპესაც შეუცხადებია და უთქვამს, ადგილზე ვიხაცამ უმტროო... ამის შემდეგ, იოსების ოჯახს სახლ-კარი დაუბრუნეს ეზოს მცირე ნაწილით, დიდი ნაწილი ეზოსი კი ჩამოართვეს“ .

იმავე წლის 24 დეკემბერს დუშეთიდან იოსებ ბებიაშვილის ოჯახში წერილი მივიდა. მასში ვკითხულობთ:

,,დიდათ პატივცემულო და საყვარელო პელო!

მე და თამარა შვილებით ერთად განვიზიარებთ თქვენს საშინელს უბედურებას, რომელმაც უზომოთ დაგვაღონა ყველანი. გვიყვარდა ნათესაურად მამა იოსები და მაგვარ სიკვდილისთვის დაგვნანდა, მით უმეტეს რომ ეხლა, როდესაც მისი მიზანი და სურვილი ასრულდა, ის აღარ არის. რა უნდა ვთქვა სანუგეშოთ? რას ნიშნამს სიტყვები სუსტი ადამიანისა წინაშე ღმერთის ნებისა? მარტო ერთი ღმერთი, რომელმაც დაბადა სიცოცხლეც და სიკვდილიც ის მოგცემთ ძალას და შეძლებას აიტანოთ ეს მწუხარება, რომელსაც ადვილად ვერ აიტანს ადამიანი. ენდეთ უფალს.

შალიკოს ვაკოცებ.

თქვენი პატივისმცემელი და მოსიყვარულე გიორგი მოზდოკელი“.

74 წლის შემდეგ, ოჯახმა მიიღო იოსებ ბებიაშვილის რეაბილიტაციის ცნობა. სამღვდელოების წარმომადგენლებს ხშირ შემთხვევაში ძალზე შეურაცხმყოფელ მდგომარეობაში აყენებდნენ და დასცინოდნენ, აბუჩად იგდებდნენ.

პ. სამსონიძე გაზეთ ,,მუშის“ ფურცლებზე წერდა:

,, - აქ ერთი ასეთი სასაცილო ამბავი მოხდა, - მითხრა ერთმა ხაშურელმა ამხანაგმა კომუნისტმა.

ამ დღეებში ერთი მღვდელი დავიჭირეთ. მას ჩვენ დიდი ხანია თვალს ვადევნებდით, ბოლოს, როგორც იქნა ჩაგვივარდა ხელში. სიცოცხლე გაქვს, მას ფერი ეცვალა. მივიყვანეთ თუ არა დასაკითხათ, მაშინვე ამოიღო ჯიბიდან მაკრატელი. ვინ იცის რათ უნდოდა ჯიბეში და ჩვენ წინვე მოიპარსა ცალი ულვაში და წვერი. გამიშვით და ჩემს დღეში თქვენს საწინააღმდეგოს არაფერს გავაკეთებო, გვემუდარებოდა“.

საერთოდ, აჯანყებამდე და მას შემდეგაც რაიონში იდევნებოდა მღვდელმსახურება. 1924 წლის 25 აგვისტოს ხაშურის რაიკომის პრეზიდიუმი იხილავს საკითხს, რომელიც სურამის კომკაშირულმა ორგანიზაციამ დააყენა მის წინაშე. კერძოდ პრეზიდიუმმა განიხილა ,,სურამის კომკავშირის ოქმი... ანტიკომუნისტური და საღვთო ჯულის მეცადინეობის შესახებ სურამში, ბრალდება მოქალაქე ჯანაშვილ ისხაკის, რომელსაც ბევრჯელ ჰქონდა მიცემული წინადადება, მაგრამ თავისას არ იშლის და კიდევ ამეცადინებს ებრაელ ახალგაზრდობას.

პრეზიდიუმმა დადგენილებაში ჩაწერა: ,,გადაეცეს აღმასკომის კომფრაქციას საჩქაროდ მიიღოს სასტიკი ზომები“.

რა იგულისხმებოდა სასტიკ ზომებში, ამას გარკვევა არ სჭირდება. რაიონში გამართული მიტინგების რეზოლუციებს თუ დავეყრდნობით, სასტიკი ზომა დახვრეტას, ფიზიკურ განადგურებას ნიშნავდა. ეს მით უფრო, რომ პრეზიდიუმის დადგენილება აჯანყების წინა დღესაა მიღებული. სამღვდელოებასთან სისხლიანი ანგარიშსწორება ხელისუფლების მხრიდან ითვალისწინებდა საეკლესიო ქონების კონფისკაციას. როგორც ჩანს, აღნიშნულ საკითხზე სამაზრო კომიტეტმა ანგარიშსწორების დღეებშივე დაუშვა დირექტივა და 15 სექტემბერს უკვე ხაშურის რაიკომის პრეზიდიუმიც იხილავს მას.

დღის წესრიგში დგას საკითხი: ,,ყოფილ ეკლესიების ქონების გამოყენების შესახებ. სამაზრკომის მოწერილობა #2277“.

საკითხის განხილვას დიდი კამათი არ გამოუწვევია პრეზიდიუმზე და დადგენილებაც სათანადო მიიღეს: ,,მიეცეს წინადადება ხაშურის რაიაღმასკომის კომფრაქციას, რათა მთელი ყოფილი ეკლესიების ქონება იქნეს შეგროვილი ხაშურშიდ და სია ამ ქონებისა საჩქაროთ წარმოადგინოს რაიკომშიდ. რის შემდეგ იქნეს გამოძახილი სამაზრო აღმასკომის წარმომადგენელი დასაჩქარებლად რეალიზაციის პირობების შესახებ და სანქციისათვის“.

ირკვევა, რომ მოსახლეობამ საეკლესიო ქონება გადამალა, მაგრამ ხელისუფლება რის ხელისუფლებაა, რომ საკითხი ბოლომდე არ მიეყვანა. 29 სექტემბერს, ხაშურის რაიკომი საიდუმლო წერილს უგზავნის აღმასკომის კომფრაქციას გადამალული საეკლესიო ქონების ამოღების შესახებ. წერილი ეხება ცხრამუხის ეკლესიის ქონებას. მასში ნათქვამია: ,,როგორც მოვიდა ცნობები ს. ცხრამუხის ეკლესიის ქონება, როგორიც არის ხალიჩები, ფარდაგები და სხვა, ჰქონიათ გადამალული იმავე სოფლის მცხოვრებელს ვასიკო ბირკაძეს, გორა ბირკაძეს, ვანო აისაშვილს და ნინა მინაძეს, რისთვისაც გევალებათ მოახდინოთ სასწრაფოდ გაჩხრეკვა და ბოროტმოქმედი იქნეს პასუხისგებაში მიცემული. პირველად უნდა უნდა მოხდეს გაჩცხრეკვა ვასიკო ბირკაძის ოჯახის“.

საკითხავია, ვინ უფრო დიდ ბოროტმოქმედებას ჩადიოდა, ვინც საეკლესიო ქონებას მალავდა იმისთვის, რომ ეკლესიისთვის შეენარჩუნებინა, თუ ის, ვინც ამ ქონებას რეალიზაციას უპირებდა.

მოსახლეობის ერთი ნაწილი თუ უარყოფით დამოკიდებულებას ამჟღავნებდა ეკლესიის მიმართ და აქტიურად იყვნენ ჩამბულები მის წინააღმდეგ ბრძოლაში და ხელისუფლების ხელის ბიჭების როლს წარმატებით ასრულებდნენ, იყო მეორე ნაწილი, რომელიც დიდი ზეწოლისა და რეპრესიების მიუხედავად, ეკლესიის გვერდით იდგნენ და, შეძლებისდაგვარად, ცდილობდნენ მის დაცვას. ადგილი ჰქონდა გამოსვლებს, ჩუმად ასრულებდნენ საეკლესიო რიტუალებს და ა. შ.

მორწმუნეთა მხრიდან სარწმუნეობრივ გამოსვლას 3 - ჯერ ჰქონდა ადგილი ხაშურში. გომის თემში კერძო სახლებში ხდებოდა წირვა-ლოცვა და სხვ..

* * *

## სურამელ ებრაელთა რაბინი აგვისტოს სამსჯავროზე

სურამში ახალგაზრდების ყურადღების ცენტრში ებრაელთა სალოცავი აღმოჩნდა. 1923 წლის 11 აპრილს გაზეთი ,,კომუნისტი“ ამასთან დაკავშირებით ,,სურამელი ლიოვას“ ხელმოწერით აქვეყნებს წერილს, რომელშიც ვკითხულობთ:

,,ქალაქ სურამში მოწვეულ იქნა უპარტიო ახალგაზრდების საერთო კრება, რომელსაც დაესწრო 300-მდე უპარტიო ახალგაზრდა. აქ გამოტანილი იქმნა რეზოლუცია ებრაელების სინაგოგის კლუბად გადაკეთების შესახებ. საჭიროა მიღება მხედველობაში იმ გარემოების, რომ სურამის რაიონის გლეხობაში გავრცელებული იქნა პროვოკაცია, რომ მარტო ქრისტიანებს ართმევენ ეკლესიებსა და ებრაელებს კი არა და ამით უნდა ქრისტიანები გარდაქმნან ებრაელებადო.

თანდასწრებით 75 კომკავშირის წევრებისა და 2000-ზე მეტი სურამის თემის გლეხებისა, 12 საათისათვის დემონსტრაცია გაემგზავრა გადაწყვეტილების სისრულეში მოსაყვანათ. წინ, დემონსტრაციას მიჰყვებოდა ზურნა, აგრეთვე მრავალი წითელი დროშები. დღე იყო თბილი და მზიანი. სურამის ქუჩებს ემატებოდა მრავალი მცხოვრებლები.

აგერ მიატანეს სინაგოგის კარებს. ამხ. გარო შუღაროვი აღებს სინაგოგის კარებს; ყველა უცქერის ხელი გაუხმება თუ არა კარების გაღების დროს, ვინაიდან ასეთი პროვოკაცია გავრცელებულ იქმნა ხალხში. ერთ წუთს მთელი დარბაზი ივსება ხალხით და აუარებელიც რჩება კარში უადგილობის გამო. იმ აშენებულ მაღალ ადგილას, საცა ადიოდა ებრაელების რაბინი, ადის ამხ. გარო შუღაროვი; აქაც ბნელი ძალები ავრცელებენ კიდევ ერთ პროვოკაციას, რომ თითქოს ეს ადგილი წმინდაა და რაბინის მეტი ვინც ავა, გაშეშდება და გაგიჟდებაო. ამხ. გარო შუღაროვი მიესალმება მიტინგს და ამბობს სიტყვას. შემდეგ გამოდიან სხვა ორატორებიც, რომელნიცის აღნიშნავენ სოლიდარობას საბჭოთა ხელისუფლების დროს მშრომელთა შორის. სინაგოგას ეწოდება ,,წითელი ახალგაზრდობის კლუბი“.

როგორც ითქვა აგვისტოს რეპრესიებმა შეიწირა სურამის ებრაელების რაბინი - დავით ჯანაშვილი. იგი, დაპატიმრების შემდეგ, გორში გადაიყვანე და დახვრიტეს. მკვლევარი ი. კრიხელი მოგვითრობს: რაბი დავით მეირის ძე ჯანაშვილი დაიბადა 1887 წელს, სურამში. იქვე მიიღო პირველდაწყებითი თორის ცოდნა. შემდეგ მამამ იგი უმცროს

(გაგრძელება IV გვერდზე)

# 100 წელი - 1924 წლის აჯანყებიდან

(გაგრძელება )

ძმა ბენიამინთან ერთად გაგზავნა იერუშალაიმში სწავლის გასაგრძელებლად. აქ ისინი იეშიბა ,,ყეც ხაიმში“ (სიცოცხლის ხე) სწავლობდნენ 1902-1906 წლებში. მამის გარდაცვალების გამო ძმები ბრუნდებიან სურამში, სადაც ჯამააათმა დავითი ხაზნად დააყენა, ბენიამინი კი 1908 წელს მინსკში იეშიბაში მიდის ცოდნის გასაღრმავებლად. ხახამ დავითი სიცოცხლის უკანასკნელ დღეებამდე ემსახურებოდა სურამის ჯამაათს, როგორც ხაზანი, დარშანი და თალმიდ-ხახამი. მისი ლოცვა სასიამოვნოდ ჟღერდა, რაც ირგვლივ მყოფთა შორის ამაღლებულ, საზეიმო განწყობილებას ქნმიდა და მსმენელთა უდიდეს აღტაცებას იწვევდა და ჯამაათი ტკბებოდა ხახამ დავითის ხმით... ფრიად განსწავლული და საკუთარ თავში ღრმად დაჯერებული რაბი დავით ჯანაშვილი ცდილობდა, რაც შეიძლება მეტ ბავშვში ჩაენერგა თორის ცოდნა და სიდიადე. ეს მაშინ, როცა იმდროინდელი ხელისუფლება სასტიკად დევნიდა ებრაულ რელიგიის სწავლებაში შემჩნეულ მასწავლებლებს. მას აღარ მოუთმინეს ეს სითამამე, დააპატიმრეს და გორის ციხეში ჩაამწყვდიეს... შუაღამისას კი დასახვრეტად გაიყვანეს. ხახამ დავითმა მოითხოვა, ერთი ჭიქა წყალი მომიტანეთო. მიუტანეს. მან აიღო ჭიქა ხელში და მტკიცე ხმით წარმოთქვა: ,,ღმერთო, როგორც ეს წყალი არის სუფთა და წმინდა, ისე წმინდად მიიღე ჩემი სული!..“ იგი დახვრიტეს დაუზოგავად 1924 წელს. ელულის (სექტემბრის) თვის შვიდ რიცხვში მხოლოდ იმიტომ, რომ იყო ებრაელი, ასწავლიდა კაცობრიობის წიგნთაწიგნს ,,თანახს“!.. ასე შეეწირა ღმერთისა და ჯამაათის სიყვარულსა და ერთგულებას 37 წლის რაბი - კეთილშობილი და დიდად განათლებული ადამიანი - დავით ჯანაშვილი. თითქმის ერთი წლის შემდეგ, განათლების სახალხო კომისარიატის სიძველეთა და ხელოვნების ძეგლთა დაცვის განყოფილების გამგის სახელზე, ამავე გაყოფილების რწმუნებულის გიორგი ბოჭორიძის მოხსენებით ბარათში აღნიშნულია:

,,უკანასკნელი გამოსვლების შემდეგ, ქ. სურამის აღმასკომს დარჩენილა ადგილობრივ ყოფილ რაბინის, დავით ჯანაშვილის მდიდარი ბიბლიოთეკა ებრაულ ენაზე, რომელიც შეიცავს ორასზე მეტ წიგნს (თალმუდი სამოც წიგნად და სხვა), სარწმუნოებრივი და იურიდიული ხასიათის შინაარსით. როგორც გადმომცეს, ხსენებული რაბინი ძლიერ განვითარებული და შეგნებული პირი ყოფილა. მე დავაპირე აღნიშნული წიგნების ტფილისში გადმოტანა, მაგრამ ადგილობრივ არ დამანებეს, ჩამორთმევის შემდეგ, აღმასკომს იგი გადაუცია გლეხკომისათვის და გლეხკომს ხუთას მანეთში გასასყიდად მიუცია მთლიანი მომხმარებელი საზოგადოებისათვის (კოოპერატივისათვის) და დღეს უკანასკნელი დაწესებულება მას გაყიდვას უპირებს“.

როგორი გამბედავი უნდა იყო, რომ აგვისტოს აჯანყებიდან რამდენიმე ხანში ხალხის მტრად შერისხულზე თქვა: ,,როგორც გადმომცეს... რაბინი ძლიერ განვითარებული და შეგნებული პირი ყოფილა“. როგორ, ხელისუფლება შეცდა? გაივლის რამდენიმე ათეული წელი და ახლა სხვა ხელისუფალი მოახდენს დახვრეტილთა რეაბილიტაციას. გიორგი ბოჭორიძემ კი ეს აგვისტოს აჯანყებიდან რამდენიმე თვეში გააკეთა. ,,რაბინი ძლიერ განვითარებული და შეგნებული პირი ყოფილა“ - ბრძანებს გიორგი ბოჭორიძე.

სურამში, ამ დროს სამი სინაგოგა არსებობდა. 1924 წელს ხელისუფლებამ ორი ჩამოართვა, ერთში კლუბი გახსნეს, მეორეში კი დაწყებითი სკოლა მოათავსეს.

1924 წლის 11 დეკემბერს, საქ. კომპარტიის ცკ-თან არსებულმა საეკლესიო კომისიამ განიხილა გორის მაზრის აღმასკომის შუამდგომლობა ზოგიერთ ადგილზე მორწმუნეთათვის ეკლესიების დაბრუნების შესახებ. სურამის ებრაელებს დაუბრუნდა სალოცავი სახლი (საბჭოთა ხელისუფლების ანტირელიგიური პოლიტიკა შიდა ქართლში (XX საუკუნის 20-იანი წლები), დოკუმენტები გამოსცა, შესავალი და შენიშვნები დაურთო პროფ. გიორგი სოსიაშვილმა, თბ.2013, გვ.236; 416). 30 - იანი წლების დასაწყისში კვლავ დაიძაბა სიტუაცია ებრაელთა სინაგოგასთან დაკავშირებით. ებრაელებმა სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის (ცაკის) თავმჯდომარეს, ფილიპე მახარაძეს მიმართეს. განცხადებაში ებრაელები წერდნენ: ,,21 მაისს, 1932 წელს, ებრაელთა ქოხსამკითხველოში მობრძანდნენ სურამის აღმასკომის თავმჯდომარე და საბჭოს წევრნი მოშე მანაშეროვი და არონ დავარაშვილი და რამდენიმე ახალგაზრდა პიონერი და კომკავშირელი და მოახდინეს კრება, კლუბის შენობისა შესახებ, რომელზედაც იმსჯელეს და დაადგინეს ესრედ: ორი სალოცავიდან ერთი სალოცავის შენობა ჩამოერთვათ და გადავიდეს სურამის ებრაელთა უბნისა კლუბისთვის. კრება მოახდინეს მარტოკა თავიანთში და კრებაზედ არ დასწრებიან ებრაელთა უმრავლესობა, არც მამაკაცნი და არც დედაკაცნი... მათ დადგენილებაზედ უვარს ვაცხადებთ და არ გვაქვს ყაბული. ამის გამოთ, მოგახსენებთ თქვენ:

წასულ 1931 წელს პირველათ აღძრეს საკითხი შესახებ კლუბისა შენობისთვის და მოინდომეს ეს მოხსენებული სალოცავის შენობა კლუბათ. მაგრამ ხალხის უმრავლესობით შეზდგა ამაზედ კრება და კრებამ დაადგინა თავისი განაჩენი შემდეგის პირობით: მოხსენებული სალოცავი უნდა დარჩენილიყო შეურყევლათ და ნაცვლათ იმისათ, ჩვენ სურამის ებრაელთა საზოგადოებას უნდა აგვეგო ხე-ტყისა მასალით ებრაელთა უბნისა კლუბი ჩვენის ხარჯითა და თავრობისა დახმარებითა. ამ კრებისა დადგენილება დარჩა და ამისთვის ამოვარჩიეთ გამწესი და ამკრეფი კომისია, რომელიც უკვე ნაწილი გაწერილისა კიდევაც აიკრიფა ფული.

ამის გამოთ, ჩვენ ქვემორე ამისა ხელის მომწერელნი, სურამის ებრაელთა საზოგადოების მცხოვრებნი, უმორჩილესად გთხოვთ, რათა კეთილი ინებოთ და მიიღოდ ხედველობაში ესე განცხადება ჩვენი და გასცეთ თქვენ მიერ განკარგულება მაზედ, რომ მოხსენებული სალოცავის შენობა არის ჩვენთვის საჭირო ლოცვისათვისა და დასტოვოთ ურყევლათ და ჩვენ ვართ თანახმათ წასული წლის დადგენილება მოვიყვანოთ სისრულეში და ავაგოთ ახალი ხე-ტყისა მასალით ჩვენისა ხარჯითა, კლუბის შენამისა ხელისა მომწერელნი სურამისა ებრაელთა მცხოვრებები“. განცხადებას ხელს აწერს 39 კაცი. 1932 წლის 1 ივნისს, საქართველოს ცაკმა სტალინისის (ხაშურის) რაიაღმასკომის თავმჯდომარეს გადაუგზავნა განცხადება ,,...დასკვნის წარმოსადგენად სურამის ებრაელთა საზოგადოების რწმუნებულ კოტე ლომიძის განცხადება სამლოცველო შენობის დაბრუნების შესახებ“.

22 ივნისს, სტალინისის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ცაკ - ს აცნობებდა: ,,...სამლოცველო შენობის ჩამორთმევის ცდას არ ჰქონია ადგილი. თვით ებრაელთა წარმომადგენლებმა დასვეს საკითხი ერთ სამლოცველო სახლის კლუბად გადაკეთების შესახებ. მაგრამ როგორც ადგილობრივ საბჭოს, ისე რაიაღმასკომის მიერ უარყოფილი იქმნა. ალბათ ეს იყო მიზეზი სურამში მცხოვრებ ებრაელთა ნაწილის მიერ ცაკში განცხადებით შემოსვლისა“

### მიტინგები და კიდევ მიტინგები

რაიონში, როცა სისხლიანი ანგარიშსწორება უკვე მოთავებული იყო, თითქოს უნდა დამცხრალიყო ვნებათა ღელვა მიტინგებისა, მაგრამ ამაოდ. თუ მანამ ცალ-ცალკე, სოფლების მიხედვით იმართებოდა მიტინგები, ახლა უკვე გაერთიანებულ მიტინგებს მართავენ.

13 სექტემბერს, ხაშურში შედგა ხაშურ-სურამის მედსანშრომის თანამშრომელთა საერთო კრება. კრებაზე მოხსენება გააკეთა რაიაღმასკომის თავმჯდომარემ ალ. ცაბაძემ. დამსწრე საზოგადოებამ აქაც ერთსულოვნად გაიზიარა მომხსენებლის სიტყვა და გამოიტანეს შემდეგი დადგენილება: ,,კრება აღიარებს, რომ საქართველოს ზოგიერთ ადგილებში მომხდარი გამოსვლები მოწყობილია მენშევიკების, თავად-აზნაურების, მღვდლებისა და ვაჭრების და მოღალატე მეორე ინტერნაციონალის ბელადების საერთო ხელმძღვანელობით. კრება იწონებს მთავრობის მოქმედებას მათ წინააღმდეგ და მოითხოვს მუშათა და გლეხთა ხელისუფლებისაგან ასეთივე სასჯელს მათთვის, ვინც კი შეუშლის ხელს მის აღმშებლობას. ჩვენ მზათ ვართ იარაღით ხელში მუშურ-გლეხურ მთავრობასთან ერთად ვიბრძოლოთ არსებულ ხელისუფლების საკეთილღეოდ. ძირს მენშევიკური ავანტურა!

ძირს სამღვდელოება, თავადაზნაურობა, ვაჭრები და ყველა მათი დამქაშები!

გაუმარჯოს კომუნისტურ პარტიას!

გაუმარჯოს მე-3 კომუნისტურ ინტერნაციონალს!“.

როგორც ვხედავთ, გაერთიანებული კრება იწონებს გატარებულ ღონისძიებებს, მაგრამ სხვა მიტინგებისაგან განსხვავებით იგი ხელისუფლებისაგან მოითხოვს მომავალში ,,ასეთივე სასჯელს მათთვის ვინც გაბედავს და ხელს შეუშლის საბჭოთა აღმშენებლობას.

კვლავ სისხლი, კვლავ ერთადერთი - ,,დახვრეტით!“

ხელისუფლებაც ხელიდან არ უშვებს მომენტს, რომ აგვისტოს აჯანყებაზე არ გაამახვილოს ყურადღება.

13 სექტემბერს, ხაშურში, რკინიგზის მუშათა კლუბში, გაიმართა ახალგაზრდობის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა. მეორე დღეს, 14 სექტემბერს ქალაქში იმართება დიდი ზეიმი.

ზეიმზე ,,ადგილობრივმა სარაიონო საბჭომ გადასცა სპარტაკელებს დროშა. სპარტაკელები ფიცს სდებენ, რომ ისინი მუდამ მზად იქნებიან პროლეტარიატის დიქტატურის დასაცავათ“.

მართალია, სპარტაკელების (კომკავშირლების) ეს ფიცი ფუჭი გამოდგა და ბოლომდე ვერ აღმოჩნდნენ სათანადო სიმაღლეზე პროლეტარიატის დიქტატურის დასაცავად და კრახი განიცადეს, მაგრამ მაშინ სხვა დრო იყო და ისინიც შესანიშნავად უწყობდნენ ფეხს ხელისუფლებას აჯანყების მონაწილეთა და უდანაშაულოთა სისხლიანი ანგარიშსწორების საქმეში. ალბათ, ამიტომაც გადასცა რაიონულმა საბჭომ დროშა. დამსახურება ხომ უნდა აღნიშნულიყო რიღაცით მაინც. ამ შემთხვევაში დროშით აღინიშნა. მითუმეტეს, ეს დროშა თუ გარდამავალი დროშა იქნებოდა, კომკავშირლები ხელიდან არ გაუშვებდნენ და დიდი მონდომებით დაუმტკიცებდნენ ბოლშევიკურ პარტიას და ხელისუფლებას ერთგულებას. წინ ხომ ქართველ ხალხს კიდევ მრავალი სისხლიანი ანგარიშსწორება ელოდა.

ზეიმის შემდეგ, საღამოს, სპარტაკის დრამატულმა წრემ მახლობელ სოფლებში გამართა უფასო წარმოდგენები, რომელსაც წინ უსწრებდა მიტინგები. მომხსენებლები უმთავრესად ეხებოდნენ მენშევიკურ ავანტურას და გლეხებიც ზიზღს უცხადებენ მუშათა კლასის მტრებს, შავბნელ კონტრევოლუციურ მოღვაწეებს“(იქვე).

ამ საქმეში კომკავშირლები კი ,,ქულებს“ აგროვებდნენ და დროშებს იღებდნენ.

მიტინგების ბოლო აკორდი სურამში გაისმა. 15 სექტემბერს აქ ,,... შედგა ქ. სურამის სააღმშენებლო მუშაკთა გაერთიანებული კრება, სადაც დაესწრენ ყველა მუშა-მოსამსახურენი. მოხსენება წაიკითხა კავშირის პასუხისმგებელმა მდივანმა პლატონ გაგნიძემ, რომელმაც ნათლად დაუსურათა კრებას მენშევიკების მიერ ჩადენილი სისაძაგლე.

ამის შემდეგ კრებამ გამოიტანა შემდეგი რეზოლუცია:

კრება უცხადებს ზიზღს მენშევიკებს. ეს გამოსვლა მოწყობილი იყო თავად-აზნაურების, ოფიცრების, მღვდელ-მთავრების და მათი დამქაშების - ვაჭრების მიერ. კრება სავსებით ადასტურებს მთავრობის მოქმედებას ამ ავანტურისტების მიმართ. მოითხოვს მათ სასტიკ დასჯას. გაუმარჯოს მე-3 კომუნისტურ ინტერნაციონალს!

გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას!“.

**თამაზ ლაცაბიძე**

(გაგრძელება იქნება)

## ხაშურში, დადიანის ქუჩის მცხოვრებთა საყურადღებოდ

ძვირფასო მოქალაქეებო, მუნიციპალიტეტს არაერთმა მოქალაქემ მომართა დადიანის ქუჩიდან და უკმაყოფილება გამოხატა მტვრისა და მომეტებული ხმაურის გამო, რასაც იწვევს წყალმომარაგების პროექტის მიმდინარეობა.

სამწუხაროდ, შექმნილი დისკომფორტი მასშტაბური პროექტის განხორციელების თანამდევი ნაწილია.

გაცნობებთ, რომ მუნიციპალიტეტი გეგმავს დადიანის ქუჩის სრულ რეაბილიტაციას უახლოეს პერიოდში. უკვე გამოცხადებულია ტენდერი, რაც, წყალმომარაგების სამუშაოების დასრულებისთანავე, მოასფალტების სამუშაოებს ითვალისწინებს. შესყიდვის სავარაუდო ღირებულება 441`677 ლარია. ამასთან, მუნიციპალიტეტმა სთხოვა წყალმომარაგების პროექტის განმახორციელებელ კომპანიას, რომ დაქსელვის სამუშაოები რაც შეიძლება შემჭიდროებულ ვადებში დასრულდეს, რათა სექტემბრის თვიდან მუნიციპალიტეტმა შეძლოს მოასფალტების პროექტის დაწყება.

ქუჩის მოასფალტების პროექტი მიმდინარე წელსვე დასრულდება და დადიანის ქუჩის მცხოვრებლებს უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილების საშუალება ექნებათ.

მუნიციპალიტეტის მერია

## შინაარსიანად გატარებული დღეები „ჯარის ბანაკში“

ზაფხულის არდადეგები ზოგიერთი ჩვენი მოსწავლისათვის საინტერესო გამოწვევად იქცა, უამრავ საინტერესო გასართობს დაემატა ეგრეთ წოდებული “ჯარის ბანაკში” მონაწილეობა, განათლების სამინისტროდან დაფინანსებული ჯარის ბანაკი, უაღრესადსაინტერესოგამოწვევად იქცა მოსწავლეებისათვის , რომლებიც მონაცვლეობით 10-15 ბავშვიანი ჯგუფებით იგზავნებიან ახალქალაქის და საჩხერი ს სამხედრო ნაწილებში , ბანაკის მონაწილენი უაღრესად კმაყოფილები ბრუნდებიან უკან. ხაშურის მე6 სკოლის მე12 კლასის მოსწავლე საბა ბარბაქაძე იმყოფებოდა საჩხერის ბანაკში, იგი იხსენებს: ბანაკში ყოფნა ძალიან სასიამოვნო იყო. ამას მივხვდი პირველივე წამიდან,როდესაც მოვიდა ავტობუსი,უკვე სხვანაირი სასიამოვნო გრძნობა დამეუფლე და ასეც გამყვა ბოლო წამამდე. თითქოს ზღაპარში აღმოვჩნდი. წაცედით საჩხერის ჯარის ბანაკში,მისვლისთანავე გაგვაცნეს იქ მოქცევის წესები და შევუდექით დაბინავებას. მოგვცეს სპეციალური მაისურები და კეპები,რომელიც იქ ყოფნის პერიოდში უნდა გვეტარებინა. ჩვენი დილა იწყებოდა 07:00 საათზე. ვდგებოდით,ვ ემზადებოდით,ვსაუზმობდით და ვიწყებდით დილის გამამხნევებელ ვარჯიშებს,რომლებსაც კურირებდნენ იქ მომსახურე სერჟანტები. ვარჯიშის შემდეგ გვქონდა აქტივობები,რომელიც ყოველდღე განსხვავებული და ძალიან სახალისო იყო. ბავშვები სერჟანტებმა დაგვყეს ჯგუფებად. პირველ დღეს იყო სირბილში შეჯიბრი,მართალია ამ შეჯიბრში წავაგეთ,მაგრამ მაინც სახალისო იყო. მეორე დღეს ავტომატის დაშლა/აწყობა გვქონდა მიზნად, სადაც გამოცდილება შევიძინეთ. მესამე დღეს,ჩემი აზრით,ყველაზე საჭირო შეჯიბრი იყო სამედიცინო დახმარებასთან დაკავშირებით და კარგია, რომ ბავშვებს ეს გვასწავლეს. ვფიქრობ, გამოგვადგება ცხოვრებაში.მეოთხე დღეს კლდეზე ცოცვა იყო და ეს იყო ყველასთვის უფრო სახალისო, ვიდრე სხვა აქტივობები. საღამოობით კი დრო გვქონდა ბავშვებს ერთმანეთი უკეთ გაგვეცნო და გვეხალისა. ვთამაშობდით სხვადასხვა თამაშებს და დრო გვქონდა სასეირნოდ.ირგვლივ ლამაზი მწვანე საფარი ამშვენებდა ჩვენს ბანაკს. ყველაფერი იყო საკმაოდ სახალისო და საჭმელიც კი ძალიან გემრიელი. ბანაკში ყოფნის პერიოდს ვიხსენებ ძალიან კარგად და არასდროს არ დამავიწყდება იქ გატარებული რამოდენიმე ბედნიერი დღე.

## - ცხადდება კონკურსი გამყოფი ხაზის გასწვრივ მცხოვრები - ქალბატონებისთვის სასწავლო ტრენინგზე

ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების განხორციელების 2022-2024 წლების საქართველოს ეროვნული სამოქმედო გეგმით ნაკისრი გამყოფი ხაზის გასწვრივ მცხოვრები კონფლიქტით დაზარალებული ქალების ეკონომიკური შესაძლებლობების გაძლიერების ვალდებულების შესრულების ფარგლებში, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი, სსიპ ფინანსთა სამინისტროს აკადემიასთან თანამშრომლობით, გაეროს ქალთა ორგანიზაციის მხარდაჭერითა და დანიის მთავრობის დაფინანსებით, აცხადებს კონკურსს სასწავლო ტრენინგზე „მეწარმეობის პრაქტიკული კურსი - როგორ დავიწყოთ ბიზნესი“ მიღებას, რომელიც განკუთვნილია გამყოფი ხაზის გასწვრივ მცხოვრები ქალებისთვის.

სასწავლო ტრენინგი მიზნად ისახავს მეწარმეობის შესახებ თეორიული ცოდნის ამაღლებასა და ბიზნესის წარმოების პრაქტიკული უნარების გაძლიერებას და მოიცავს როგორც ინტერაქციულ ლექციებს, ისე პრაქტიკულ სავარჯიშოებს.

სასწავლო ტრენინგში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ:

18 წლის ასაკს მიღწეული ქალებს.

მცხეთის, დუშეთის, ქარელის, გორის, კასპის, ხაშურის, საჩხერის, ზუგდიდის, წალენჯიხის, მესტიისა და ონის მუნიციპალიტეტების სოფლებში მცხოვრებ კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ ქალებს.

ვისაც სურს ბიზნესის დაწყება/გაფართოება, გააჩნია ბიზნეს იდეა ან/და აქვს მეწარმეობის სფეროში უნარ-ჩვევების განვითარების მოტივაცია.

ტრენინგ-კურსი მოიცავს შემდეგ თემებს:

ბიზნესის არსი და მისი დაგეგმვა;
ბიზნეს იდეის შემუშავება;
ბიზნესის და პროდუქტის განვითარების ფაზები;
ბიზნესის სახელის შერჩევა;
ბაზრის ანალიზი;
ბიზნეს-მოდელის შემუშავება;
მოგების მარჟა და ნულოვანი წერტილის გამოთვლა;
სტარტაპ ბიუჯეტი და დაფინანსების წყაროები;
ტრენინგ-კურსის ხანგრძლივობა: 55 საათი.
პერიოდი: 5 სექტემბრიდან - ქ. ზუგდიდში, 13 სექტემბრიდან - ქ. გორში
ლოკაცია: ქ. გორი და ქ. ზუგდიდი; ტრენინგების დახურვის ცერემონია - ქ. თბილისი
სამუშაო ენა: ქართული

ფორმატი: ტრენინგ-კურსი ჩატარდება პირისპირ, ფიზიკური დასწრების რეჟიმში და მასში ჯამში 32 მსმენელი მიიღებს მონაწილეობას.

ტრენინგში მონაწილეობისთვის უზრუნველყოფილი იქნება მონაწილეთა ტრანსპორტირება.

კურსში მონაწილეობა არის უფასო.

ტრენინგის ფარგლებში შემუშავებული წარმატებული ბიზნეს იდეის ავტორებს შესაძლებლობა ექნებათ პროექტის შემდგომ ეტაპზე მონაწილეობა მიიღონ საგრანტო კონკურსში.

კონკურსში მონაწილეების შერჩევა მოხდება ორ ეტაპად:

პირველი ეტაპი:

მსურველებმა უნდა გამოაგზავნონ მოკლე ბიოგრაფია (CV) და სამოტივაციო წერილი (ტრენინგ-კურსში მონაწილეობის მიზანი და არსებობის შემთხვევაში, ბიზნეს-იდეის მოკლე მონახაზი).

მეორე ეტაპი:

შერჩეული კანდიდატები გაივლიან გასაუბრებას (ონლაინ რეჟიმში).

რეზიუმე და სამოტივაციო წერილი უნდა გამოიგზავნოს შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: l.devidze@smr.gov.ge.

(გთხოვთ, სათაურის ველში (subject) მიუთითოთ კურსის დასახელება - „მეწარმეობის პრაქტიკული კურსი - როგორ დავიწყოთ ბიზნესი“ და კურსის სასურველი ლოკაცია - ქ. გორი ან ქ. ზუგდიდი).

დამატებითი შეკითხვების შემთხვევაში საკონტაქტო პირია - ლალი დევიძე (577 527799)

განაცხადის მიღების ბოლო ვადა: 2024 წლის 11 აგვისტო

## ინოვაციური ბანაკი - ბაკურიანში

კასპის ტექნოპარკის ორგანიზებით, საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს და კასპის, გორის, ქარელისა და ხაშურის მუნიციპალიტეტების მერიების თანადაფინანსებით, შიდა ქართლის რეგიონის ინოვაციების ბანაკი TechSkills Bootcamp 2024 ჩატარდა.

5-დღიანი ბანაკი ბაკურიანში გაიმართა, რომელიც მოიცავდა Web/Mobile Development - ის მიმართულებით ინტენსიურ ტრენინგ კურსებსა და ვორქშოპებს და მიზნად ისახავდა შიდა ქართლის რეგიონში მცხოვრები ახალგაზრდების Web და Mobile Development ტექნოლოგიებით დაინტერესებას.

ბანაკში მონაწილეობა მიიღეს 15-19 წლის ახალგაზრდებმა შიდა ქართლის რეგიონიდან. მონაწილეები ბანაკის მიმდინარეობისას მუშაობდნენ დასახული პრობლემის მოგვარების ინოვაციური და ტექნოლოგიური გადაწყვეტების შემუშავებაზე. ამავდროულად, მათ გაიარეს ტრენინგები Web/Mobile Development მიმართულებით. ბანაკის მონაწილეებთან მუშაობდნენ მენტორები, მოწვეული ტრენერები და გუნდის ლიდერები.

ბოლო დღეს მონაწილეებმა საკუთარი იდეების პრეზენტაციები წარადგინეს.

იდეების შესარჩევ ჟიურიში ჩართული იყვნენ ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე ზვიად გოგუაძე და მერის ახალგაზრდული მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე დაჩი სხირტლაძე.

ჟიურის მიერ შერჩეულ საუკეთესო ორ იდეას გადაეცა თემატური პრიზები ბანაკის სპონსორი კომპანიისგან „ჰაიდელბერგ ცემენტ ჯორჯია“.

სოფელი ბიჯნისი. ტაბაკლდე. ნიკა კიკაძის ფოტო

# ხაშურის მუნიციპალიტეტის მერია ახალგაზრდობის საერთაშორისო დღის აღსანიშნავ ღონისძიებებზე გეპატიჟებათ!

დღეს, 17 საათიდან ქალაქის ცენტრში, დიმიტრი ყიფიანის მოედნის მიმდებარედ წარმოდგენილი იქნება მრავალფეროვანი პროგრამა: მაგიდის ჩოგბურთი, ჭადრაკის და ნარდის პირველობა, 3X3 კალათბურთი.

მუსიკის მოყვარულებს შეუძლიათ დაესწრონ კონცერტს ჯგუფების„ბეთლემის“და“SpamJam”,ასევეშემსრულებლების: გიორგი ჩიქოვანის, სოფო საჟინიანის, ცოტნე ბარბაქაძის, ნინი მალხაზიშვილის, ანასტასია მეტრეველის, მარიამ ჩუბინიძის, ლიზა კაპანაძის, ანი სუხიაშვილის, ლუკა ლოლაძის მონაწილეობით.

წამყვანი: ბექა მეტრეველი.

საღამოს დაასრულებს DJ ვახო ლოლაძე.

დამსწრეებს ვთხოვთ გაითვალისწინონ, რომ დაგეგმილია ფერების შოუს მოწყობა და ვისაც სურს, შეუერთდეს აღნიშნულ სანახაობას, შეარჩიოს შესაბამისი ჩაცმულობა.

მობრძანდით, ერთად ვიზეიმოთ ახალგაზრდობის საერთაშორისო დღე.

მუნიციპალიტეტის მერია

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი და გაზეთის რედაქტორი გიორგი გოგალაძე, მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში.